გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 173

2025 წლის 24 ნოემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე

საქართველო. ქ. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA. GORI MUNICIPALITY ASSEMBLY
218086087

1. „გორის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს. მარლენ ნადირაძე/

2. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

3. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

4. „გორის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 ივნისის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/